



მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #73 აპრილი, 2019

გამოშვებაში

1 „მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“ კერძო სექტორის წარმომადგენლებთან ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალზე (MY.GOV.GE) სერვისების განთავსების შესაძლებლობა განიხილა

„მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“ კერძო სექტორის წარმომადგენლებთან ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალზე (MY.GOV.GE) სერვისების განთავსების შესაძლებლობა განიხილა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ წარმომადგენლებმა სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ კერძო სექტორთან გამართულ შეხვედრაზე კერძო სექტორში არსებული ელექტრონული

2 „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ წარმომადგენლებმა მალაიზიის დელეგაციას მიმდინარე პროექტები გააცნეს

სერვისების My.gov.ge-ის პლატფორმაზე ინტეგრაციის საკითხები განიხილეს. შეხვედრის მიმდინარეობისას კერძო სექტორის წარმომადგენლებს ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის დანიშნულებისა და გამოყენების შესახებ სრული ინფორმაცია მიეწოდათ. ღონისძიება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ორგანიზებითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭრით ჩატარდა.

3 განაცხადების მიღება - ეროვნული კიბეროლიმპიადი 2019

4 შეხვედრაზე, რომელსაც თერთმეტი კერძო კომპანიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, იმ შესაძლებლობაზე ისაუბრეს, რომელსაც ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალი კერძო სექტორს მათი სერვისების თანამედროვე, უსაფრთხო და მოქნილ პლატფორმაზე განთავსებით სთავაზობს. შეხვედრაში მონაწილე კომპანიებს შორის იყვნენ სადაზღვევო, საბანკო, ფარმაცევტული, სატელეკომუნიკაციო ბაზრის მსხვილი მოთამაშეები, რომლებსაც უკვე დანერგილი აქვთ არაერთი საინტერესო ელექტრონული მომსახურება (გაგრძელება გვ. 2).

GITI 2019



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge




www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

www.eAuction.ge  
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1) „ასეთი ტიპის შეხვედრები ძალიან სასარგებლოა, ვინაიდან კერძო სექტორთან პირდაპირი კომუნიკაციის საშუალება გვეძლევა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის განსახილველად, როგორცაა ელექტრონულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. სასიხარულოა, რომ კერძო სექტორი როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს არაერთ ელექტრონულ სერვისს სთავაზობს, რომელთა გამოყენებაც ზოგავს მომხმარებლის დროს, ფინანსებსა და ენერჯიას. ჩვენ კერძო სექტორს ვთავაზობთ მზა პლატფორმას ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის სახით, სადაც განთავსებულია საჯარო სექტორში არსებული სერვისები, კერძო სექტორის სერვისების ინტეგრაციით კი კიდევ უფრო გაიზრდება ამ სერვისების გამოყენების სიხშირე. მაგალითად, უკვე ვმუშაობთ სამოგზაურო დაზღვევის პორტალიდან მიღების შესაძლებლობაზე და იმედი გვაქვს, რომ კერძო სექტორის სერვისების წილი სამომავლოდ ეტაპობრივად გაიზრდება“, - ნიკოლოზ გაგნიძე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარე.

### „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ წარმომადგენლებმა მალაიზიის დელეგაციას მიმდინარე პროექტები გააცნეს



24 აპრილს თბილისის იუსტიციის სახლში მალაიზიის სხვადასხვა სამთავრობო უწყების დელეგაციის წევრებთან გამართულ შეხვედრაზე სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ წარმომადგენლებმა სტუმრებს დეტალურად გააცნეს საქართველოში ელექტრონული მმართველობის, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის, ელექტრონული სერვისებისა და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით განხორციელებული პროექტები, ასევე გაუზიარეს ის გამოცდილება, რომელიც სააგენტოს უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში აღნიშნული მიმართულებებით დაუგროვდა. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კომპეტენციის ცენტრის პროექტს, რომელიც „მონაცემთა გაცვლის

სააგენტოს“ ინიციატივით დაიწყო და მიზნად ისახავს საქართველოში განხორციელებული რეფორმების საერთაშორისო მასშტაბით ექსპორტის ხელშეწყობას.

ვიზიტის ფარგლებში მალაიზიელი სტუმრები ასევე შეხვდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების - „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“, „იუსტიციის სახლის“, ასევე თბილისი მერიისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებს.

„მოხარულნი ვართ, რომ ჩვენი სააგენტოს გამოცდილების გაზიარებით სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ინტერესდებიან. დღეს ჩვენს მალაიზიელ კოლეგებს გავაცანიტ სააგენტოს მუშაობის სფეროები და ყველა ის პროექტი, რომელიც დაკავშირებულია ქვეყანაში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული სერვისების განვითარებასთან. ასევე ვისაუბრეთ ჩვენი გამოცდილების სხვა ქვეყნებისთვის გაზიარების პერსპექტივაზე“, - განაცხადა ნიკოლოზ გაგნიძემ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარემ.

მალაიზიელი კოლეგები ასევე გაეცნენ საქართველოში კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების განვითარების ტენდენციებსა და ელექტრონული სერვისების ერთი ფანჯრის პრინციპით მიწოდების ონლაინ პლატფორმის - ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალს (My.gov.ge) - მუშაობის სპეციფიკას.

## განაცხადების მიღება - ეროვნული კიბეროლიმპიადა 2019



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფი CERT.GOV.GE, იწყებს ეროვნულ კიბეროლიმპიადაში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღებას. კიბეროლიმპიადის მიზანია კიბერუსაფრთხოების სფეროს განავითარების ხელშეწყობა და პუპულარიზაცია, ასევე იმ პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენა და წახალისება, რომლებიც ფლობენ შესაბამის ტექნიკურ ცოდნასა და კომპეტენციას.

კიბეროლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლია კიბერსაკითხებით დაინტერესებულ ყველა ახალგაზრდას, რომელსაც არ შესრულებია 25 წელი.

ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა ჩამოაყალიბონ მაქსიმუმ 3 წევრისგან შემდგარი გუნდი და წარმოადგინონ შესაბამისი განაცხადი. გუნდი შეიძლება ასევე შედგებოდეს 1 ან 2 მონაწილისგან.

ეროვნულ კიბეროლიმპიადაზე დაისმება კიბერუსაფრთხოების გავრცელებული შეტევების ვექტორების ამოცანები, რომელთა გადაჭრაშიც ერთმანეთს გუნდებად დაყოფილი სტუდენტები შეეჯიბრებიან.

ოლიმპიადის მონაწილეები სხვადასხვა კვლევითი და ლაბორატორიული სამუშაოს შედეგად გააანალიზებენ და გამოიკვლევენ 20 განსხვავებულ შემთხვევას და უპასუხებენ 50 შეკითხვას (თითოეული შემთხვევის ირგვლივ სხვადასხვა სირთულისა და წონის 10 შეკითხვა), მიღებულ პასუხებზე დაყრდნობით კი დაითვლება საბოლოო სტატისტიკა. ეროვნული კიბეროლიმპიადის ხანგრძლივობაა 1 დღე.

იმისათვის რომ, ოლიმპიადის მონაწილემ შეძლოს აღნიშნულ ღონისძიებაზე დასრება, აუცილებელია ფლობდეს საბაზისო ცოდნას შემდეგ სფეროებში: ნეტვორკინგი, კრიპტოგრაფია და ვებდეველოპმენტი (Networking, Scripting, Web development).

ახალგაზრდა თაობის განათლება და დახელოვნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ერთ-ერთი პრიორიტეტია. კიბეროლიმპიადის მეშვეობით სტუდენტებს მიეცემა შესაძლებლობა გაიღრმავონ ცოდნა ისეთ სფეროში, როგორცაა კიბერუსაფრთხოება. დღევანდელ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოების მაღალი დონის მიღწევა და შენარჩუნება, რასაც შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის სპეციალისტები ესაჭიროება. ეს არის უნიკალური შანსი ახალგაზრდებისთვის, ურთიერთშეჯიბრის პირობებში წარმოაჩინონ საკუთარი თავი და გაიღრმავონ ცოდნა.

ეროვნული კიბეროლიმპიადა გაიმართება 2019 წლის 31 მაისს, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“.

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 27 მაისი, 2019

შემოსული განაცხადების საფუძველზე სპეციალური ჟიურის მიერ შეირჩევა 50 გუნდი.

დაინტერესებულმა ახალგაზრდებმა კიბეროლიმპიადაზე რეგისტრაციისთვის უნდა გამოგზავნონ გუნდის დასახელება, გუნდის წევრთა რეზიუმეები (წევრთა რეზიუმეები სავალდებულო არ არის) და საკონტაქტო ინფორმაცია ელფოსტის შემდეგ მისამართზე: [cybercube@dea.gov.ge](mailto:cybercube@dea.gov.ge)

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით: ტელ.: 291 51 40; [www.facebook.com/certgovge](http://www.facebook.com/certgovge)

GITI 2019



საქართველოს IT ინოვაციების ღონისძიება

GITI 2019



პარტნიორობა კონკურენციის, ინოვაციებისა და  
კიბერუსაფრთხოებისთვის

კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების  
განვითარების მე-11 რეგიონული კონფერენცია /  
დაჯილდოების ცერემონია

ორგანიზატორები:

ICT ბიზნეს საბჭო  
სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“

4-5 ივნისი, 2019  
„შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასი“  
თელავის ქ. 20, თბილისი, საქართველო

რეგისტრაციის ფორმა A - მონაწილეებისა და გამომსვლელებისთვის: <https://form.jotform.com/91066345451960>

რეგისტრაციის ფორმა B - ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) პროექტების კონკურსში მონაწილეებისთვის:  
<https://form.jotform.com/91066247522960>

იხილეთ ჩვენი საიტები

[www.dea.gov.ge](http://www.dea.gov.ge); [www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge)

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო

უნივერსიტეტის ქ. 50  
თბილისი 0102, საქართველო  
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40  
ელფოსტა: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge) და სათაურში მიუთითოთ **“Subscribe”** ან დაარეგისტროთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: [www.e-government.ge](http://www.e-government.ge)

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ